



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

საქმე „ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი n° 39804/04)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 18 დეკემბერი

საბოლოო გახდა:

18/03/2013

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ
შესწორებას.

საქმეზე: ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:
ჯოზეპ კასადევალი, თავმჯდომარე,
ალვინა გულუმინი,
კორნელი ბირსანი,
იან სიკუტა,
ლუის ლოპეზ გუერა
ნონა წოწორია
კრისტინა პარდალოსი, მოსამართლეები,
და *სანტიაგო კესადა, სექციის განმწესრიგებელი,*
2012 წლის 27 ნოემბრის დახურული თათბირის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი
გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საქართველოს ორი მოქალაქის, ბ-ნი *ადამ ბაისუევისა* და ბ-ნი *რუსტამ ანზოროვის* („მომჩივნები“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2004 წლის 6 აგვისტოს, სასამართლოში, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი (n° 39804/04).

2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ თბილისში არსებული ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „*კონსტიტუციის 42-ე მუხლის*“ ადვოკატები. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა ყოფილი სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ქ-ნი *ირინე ბართაია*.

3. 2005 წლის 25 მაისს სასამართლომ გადაწყვიტა მომჩივანთა მიერ კონვენციის მე-5 (§§ 1, 2 და 4) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების მთავრობისთვის ცნობება, რომლებიც უკავშირდება პოლიციის მიერ მომჩივნების სავარაუდო უკანონო დაკავებას (სასამართლოს რეგლამენტის 54-ე (§2 „b“) მუხლი). სასამართლომ ასევე გადაწყვიტა საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა (მუხლი 29§1).

4. მთავრობამ და მომჩივნებმა წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები სარჩელის მისაღებობისა და არსებითი მხარის თაობაზე (რეგლამენტის 54-ე („ა“) მუხლი). რუსეთის ფედერაციის მთავრობამ არ გამოიყენა სამართალწარმოების პროცესში ჩართვის უფლება (კონვენციის 36-ე (§1) მუხლი)

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივნები - ბ-ნი *ადაშ ბაისუევი* („პირველი მომჩივანი“) და ბ-ნი *რუსტამ ანზოროვი* („მეორე მომჩივანი“), არიან ჩეჩნური წარმოშობის რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც, შესაბამისად, დაიბადნენ 1980 და 1979 წლებში. შესაბამის დროს, ისინი ცხოვრობდნენ თბილისში, საქართველო, ლტოლვილების სტატუსით.

ა. მომჩივანთა დაკავება

6. მომჩივანთა განცხადებით, 2002 წლის 7 დეკემბერს, დილაადრიან, პოლიციელები მივიდნენ მათთან სახლში და დაკითხეს. პოლიციამ დაიწყო მათი საცხოვრებლის ჩხრეკა ორდერის წარდგენის გარეშე. პოლიციელებმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები წაიღეს და მომჩივნებს უთხრეს, წაჰყოლოდნენ მათ *თბილისის ვაკე-საბურთალოს* რაიონის №3 პოლიციის სამმართველოში („პოლიცია“). პოლიციაში მათ გადაუღეს ფოტოები და დაუსვეს კითხვები *რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის* რესპუბლიკაში შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით და ასევე ჰკითხეს, იყვნენ თუ არა ისინი ან მათი ოჯახის წევრები ამ კონფლიქტში ჩართულები. მომჩივნებს აგრეთვე აუღეს თითის ანაბეჭდები. 3 საათის შემდეგ მომჩივნები გაათავისუფლეს და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები დაუბრუნეს.

7. მთავრობა არ დაეთანხმა მომჩივანთა მიერ წარმოდგენილ ვერსიას. მან განაცხადა, რომ 2002 წლის 7 დეკემბერს პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ მომჩივანთა სახლში, *თბილისში* რეგისტრაციის გარეშე მცხოვრები ადამიანების პირადობის მორიგი შემოწმების მიზნით. მომჩივნებს სთხოვეს წაყოლოდნენ *ვაკე-საბურთალოს* პოლიციაში, სადაც მოხდებოდა მათი პირადობისა და ლტოლვილთა ბარათების შემოწმება. მთავრობამ უარყო მომჩივანთა განცხადება მათი სახლის ჩხრეკისა და სხვა ჩატარებული საგამომიებო ღონისძიებების შესახებ.

8. მთავრობის განცხადებით, მომჩივნებმა პოლიციაში დაჰყვეს 30 წუთი. ისინი პირადობის შემოწმებისთანავე განთავისუფლდნენ.

ბ. მომჩივანთა მიერ მიღებული სამართლებრივი ზომები

9. როგორც მომჩივნები აცხადებენ, 2003 წლის 20 იანვარს მათ შეიტანეს საჩივარი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში („პროკურატურა“), რომელშიც ისინი აკრიტიკებდნენ პოლიციის ზემოაღნიშნულ ქმედებებს. მომჩივნები მოითხოვდნენ სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებულ განმარტებებს მათი

სახლის ჩხრეკის თაობაზე, პოლიციაში მათ წაყვანაზე და ასევე სისხლის სამართლის პროცედურული ზომების შესახებ, რომელთა გატარებაც მათ მიმართ მოხდა. მთავრობამ განაცხადა, რომ ვერ მოიძია აღნიშნული საჩივარი.

10. 2003 წლის 7 თებერვალს მეორე მომჩივანმა პროკურატურისგან კვლავ მოითხოვა განმარტება მის დაკავებასთან დაკავშირებით. 2003 წლის 31 მარტის საპასუხო წერილში, *ვაკე-საბურთალოს* რაიონული პროკურატურის გამომძიებელმა განმარტა, რომ მეორე მომჩივანი არ ყოფილა დაკავებული, არამედ ის მიყვანილ იქნა პოლიციაში *საქართველოში* მყოფ სხვა ეროვნების დროებით მაცხოვრებლებთან ერთად, რათა მომხდარიყო მათი პირადობის დადგენა და ლტოლვილის სტატუსის შემოწმება. გამომძიებელმა განაცხადა, რომ არც ერთი საგამომძიებო მოქმედება არ განხორციელებულა და მომჩივანი მისი პიროვნების იდენტიფიკაციისთანავე განთავისუფლდა.

11. 2003 წლის 2 აპრილს მომჩივანმა მიმართეს *თბილისის* პროკურატურას, აღედრა სისხლის სამართლის საქმე იმ პოლიციელთა წინააღმდეგ, რომლებმაც ისინი დააკავეს. მომჩივანების თქმით, მათი საჩივარი გადაეგზავნა *ვაკე-საბურთალოს* რაიონულ პროკურატურას, რომელმაც რეაგირება არ მოახდინა. მთავრობამ კვლავ განაცხადა, რომ მან ვერ იპოვნა 2003 წლის 2 აპრილის წერილი ვერც *თბილისის* და ვერც *ვაკე-საბურთალოს* რაიონულ პროკურატურებში.

12. 2003 წლის 17 ნოემბერს მომჩივანმა მოითხოვეს წერილობითი პასუხი 2003 წლის 2 აპრილის განმცხადებაზე.

13. 2003 წლის 19 ნოემბერს *ვაკე-საბურთალოს* რაიონულმა პროკურატურამ მომჩივანებს უპასუხა, რომ 2002 წლის 7 დეკემბერს, ისინი, სხვა რამდენიმე ჩეჩენ ლტოლვილთან ერთად, არ ყოფილან „დაკავებულნი“, არამედ მიიყვანეს პოლიციაში მათი იდენტიფიკაციისა და საქართველოში მათი ყოფნის სამართლებრივი სტატუსის შემოწმების მიზნით. როგორც კი შემოწმება დასრულდა, ყველა პირი მაშინვე გაათავისუფლეს. პროკურატურამ არ მიუთითა, რა სამართლებრივ საფუძველზე მიიყვანეს და ჰყავდათ მომჩივანები პოლიციაში. ინფორმაცია მომჩივანთა მოთხოვნაზე, აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, ასევე არ იქნა მოწოდებული.

14. 2003 წლის 18 დეკემბერს მომჩივანებმა კვლავ გაიმეორეს თავიანთი მოთხოვნა და გაგზავნეს წერილი *ვაკე-საბურთალოს* რაიონულ პროკურატურაში. 2004 წლის 16 იანვარს მათ მიიღეს პასუხი, რომ მათი დაკავება არ მომხდარა და ისინი პოლიციაში მხოლოდ იდენტიფიკაციის მიზნით მიიყვანეს.

15. 2004 წლის 27 თებერვალს მომჩივანებმა შეიტანეს მორიგი განცხადება *ვაკე-საბურთალოს* რაიონულ პროკურატურაში, რომელშიც მოითხოვდნენ, რომ პოლიციის ოქმები, რომელიც შეეხებოდა მომჩივანთა დატოვებას პოლიციაში და მათ მიმართ გატარებულ საგამომძიებო ღონისძიებებს, ხელმისაწვდომი გამხდარიყო მათთვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) 150-ე მუხლის შესაბამისად.

16. პასუხად, 2004 წლის 10 მარტის წერილში, პროკურატურამ მიუთითა, რომ მომჩივანთა მიერ გაპროტესტებული დაკავება გაგრძელდა მხოლოდ 30 წუთს. მომჩივანებისთვის სამართლებრივი საფუძვლის მითითების გარეშე, პროკურატურამ

განაცხადა, რომ მათი მიყვანა პოლიციაში არ იყო უკანონო ქმედება. პროკურატურამ ინფორმაცია მიაწოდა მომჩივნებს, თუმცა პოლიციაში მათი ყოფნის შესახებ არანაირი ჩანაწერი არ მოიპოვება.

17. 2005 წლის 29 აგვისტოს, მთავრობისთვის საჩივრის ცნობების შემდეგ, დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის საფუძველზე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), რაც გულისხმობდა 2002 წლის 7 დეკემბერს ჩეჩნური წარმოშობის რუსეთის მოქალაქეების უკანონო მიყვანას პოლიციაში. სისხლის სამართლის საქმე ეხებოდა მეორე მომჩივანს. გარდა ამისა, 2005 წლის 11 ოქტომბერს მსგავსი სამართალწარმოება დაიწყო 1-ლ მომჩივანთან დაკავშირებით. მთავრობის მიერ სასამართლოსთვის წარმოდგენილი დოკუმენტები მოიცავდა მხოლოდ წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებათა ასლებს. მთავრობამ იკისრა ვალდებულება სასამართლოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მიმდინარე სამართალწარმოების პროცესის შესახებ, თუმცა ის არ ყოფილა მოწოდებული.

II. შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. საქართველოს კანონმდებლობა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი („სსსკ“), შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

18. სსსკ-ის შესაბამისი მუხლები შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 24§4 - საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა

„დანაშაულის ნიშნების გამოვლენისას, საგამოძიებო ორგანო, გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაიწყოს სისხლის სამართლის საქმის წარმოება. ...“

მუხლი 55§5 - პროკურატურა

„ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს ახლით.“

მუხლი 146§1 - დაკავების კანონიერების შემოწმება

„პირის პოლიციაში მიყვანის შემთხვევაში, მაშინვე უნდა შედგეს დაკავების შესახებ ოქმი ...“

მუხლის 235 §§ 1 და 2 – საჩივრის შეტანა

„საჩივარი შეაქვთ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელიც კანონით უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება. ...“

საჩივარი გამომძიებლის, საგამოძიებო ორგანოს ან საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელის გამო უნდა გადაეცეს შესაბამის პროკურორს. საჩივარი პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს. ...“

მუხლი 261 – წინასწარი გამოძიების დაწყების მოვალეობა

„დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება ...“

მუხლი 265 § 1 და 4 – დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების განხილვის წესი

„ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. ...
ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ დაუყოვნებლივ განიხილება. თუ პირი დაკავებულია, მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდება დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში. დანარჩენ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას შეიძლება წინ უძღოდეს მიღებული ცნობების შემოწმება, რაც 20 დღეზე მეტ ხანს არ შეიძლება გაგრძელდეს.“

მუხლი 279 § 1 და 2 – გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება

„გამომძიებლის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამო საჩივარი წარედგინება შესაბამის პროკურორს.

პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან, ან სასამართლოში ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით.“

2. 1993 წლის 27 ივლისის კანონი პოლიციის შესახებ, შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

19. პოლიციის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლები შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 8§1 (გ) და (ს) - პოლიციის მოვალეობები

„პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა: ...

შეზღუდოს პირთა უფლებები მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. როდესაც ხდება უფლებათა აღნიშნული შეზღუდვა, ყველა პოლიციელი უნდა წარუდგეს პირს, წარმოადგინოს ოფიციალური მოწმობა, განმარტავოს უფლებათა შეზღუდვის საფუძველი და გააცნოს პირს მისი უფლებები. ...

განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელთა რეგისტრაციასა და მათ მოძრაობაზე დაკვირვება ...“

მუხლი 9 (ბ), (გ), (5) და (11) – პოლიციის უფლებები

„პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს. ...

შეამოწმოს პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, როცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ აღნიშნულმა პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

სისხლის სამართლის საპროცესო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, მიიყვანოს შესაბამისი პირი პოლიციის განყოფილებაში და მოსთხოვოს მას ახსნა-განმარტება, ასევე აუცილებელი ინფორმაცია და დაოკუმენტები. თუ პირი არ გამოცხადდება საპატიო მიზეზის არსებობის გარეშე, ის შესაძლოა იძულების წესით იქნეს მიყვანილი პოლიციის განყოფილებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით ...

მიიყვანოს სამართალდამრღვევი პოლიციის განყოფილებაში და დააკავოს 8 საათით, რათა დაადგინოს მისი ვინაობა და შეამოწმოს ნებისმიერი შესაბამისი ნივთი. დაკავების ოქმი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შედგენილი კანონმდებლობით დადგენილი წესით ...

დანაშაულის პრევენციის მიზნით, დააკავოს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული ან როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია, შევიდეს კერძო საცხოვრებელში ... მობინადრეთა ნებართვის გარეშე და ამის შესახებ წერილობით აცნობოს პროკურორს 24 საათის განმავლობაში.“

მუხლი 33 - პოლიციელის ქმედობის გასაჩივრების უფლება

„მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს პოლიციელის ქმედობა პოლიციის ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურორთან ან სასამართლოში.“

3. 1999 წლის 29 ნოემბრის პრეზიდენტის ბრძანებულება „ქვეყანაში უცხო პირთა შემოსვლის, ცხოვრებისა და გასვლის რეგისტრაციის რეგულირების გადაუდებელი წინასწარი ზომების შესახებ“

20. ზემოხსენებული ბრძანებულების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არის იმ სახელმწიფო უწყებათა შორის, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლას, დარჩენასა და ქვეყნიდან გამგზავრებას. მე-3 მუხლის თანახმად, შსს-მ, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, უნდა მოახდინოს რეაგირება უცხო პირთა ქვეყანაში შემოსვლის, დარჩენისა და გამგზავრების წესების დარღვევაზე. იმავე ბრძანებულების მე-5 (ბ) მუხლის თანახმად, შსს პასუხისმგებელია უცხო პირთა ქვეყანაში დარჩენის ვადების მონიტორინგზე.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

21. აღნიშნული კოდექსის 24-ე და 32-ე მუხლების თანახმად, ადმინისტრაციული დაკავება არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სახდელის ერთ-ერთი ფორმა. დაკავების შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს მხოლოდ 1-ლი ინსტანციის მოსამართლეს და არ ის უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

22 აღნიშნული კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად, პოლიციელის ბრძანების ან მოთხოვნის შესრულებაზე მუდმივი უარი, როდესაც პოლიციელი იცავს საზოგადოებრივი წესრიგს, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ექვემდებარება ჯარიმას ან 30-დღიან ადმინისტრაციულ დაკავებას. მსგავს დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოება 1-ლი ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებაა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლი).

23. ამავე კოდექსის 244-ე, 245-ე და 246-ე მუხლების თანახმად, პირის იდენტიფიკაციის მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სამართალწარმოების კონტექსტში, პირი შეიძლება დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ დაკავებასა და სრულ ჩხრეკას და შეიძლება ასევე მოხდეს მისი ნივთებისა და დოკუმენტების კონფისკაცია. დაკავება დგინდება კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, წარმოადგენს შსს-ს კომპეტენციას და არ უნდა აჭარბებდეს 3 საათს. დროის ათვლა იწყება პოლიციაში ოქმის შედგენის მიზნით პირი მიყვანიდან. პირის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ ანგარიშში მითითებული უნდა იყოს თარიღი და დრო, პოლიციელის მოვალეობები და ვინაობა, დაკავებულის შესახებ ინფორმაცია, დაკავების დრო და მიზეზები.

ბ. საერთაშორისო ანგარიშები

1. საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის ანგარიში საქართველოში მიმდინარე მდგომარეობასა და კავკასიის რეგიონის სტაბილურობის შედეგებზე, 24 სექტემბერი 2002 (დოკუმენტი 9564)

24. ამ ანგარიშის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

„ჩეჩნეთის რესპუბლიკაში არსებული კონფლიქტის შედეგები:

34. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში 1999 წელს დაწყებული კონფლიქტის დროს, რუსეთის ფედერაციის მთვრობამ დაადანაშაულა საქართველო ჩეჩენი მეზრძოლების შეფარებისთვის და მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას უფლება მიეცა რუსეთის არმიისთვის ეწარმოებინა საბრძოლო მოქმედებები ჩეჩენი „ტერორისტების“ წინააღმდეგ.

35. საქართველომ უარყო ბრალდებები და მოიწვია ეუთო, რათა მას მოეხდინა დაკვირვება და განეხორციელებინა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკის საზღვარზე გადაადგილების კონტროლი

37. ყველაზე სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ჩეჩნების არსებობამ პანკისის ხეობაში, რომელიც მდებარეობს თბილისის ჩრდილოეთით 35 კილომეტრზე. ეს ხეობა ზოგადად მიიჩნევა, როგორც უკონტროლო ტერიტორია, უმეტესად ამ ტერიტორიას აკონტროლებენ კრიმინალები და მეზრძოლები. საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ჩეჩნები, რომლებიც ცხოვრობენ ხეობაში (დაახლ. 8 000 ადამიანი), არიან ლტოლვილები. რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ხეობის გამოყენება ხდება ჩეჩენი მეზრძოლების მიერ როგორც უსაფრთხო ადგილი და ბაზა, საიდანაც ისინი ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას რუსეთში.

38. გასულ წელს, საქართველოს ხელისუფლებამ დაადანაშაულა რუსეთი მისი ტერიტორიის დაბომბვაში ჩეჩენ ტერორისტებთან ბრძოლის საბაზით. რუსეთმა კატეგორიულად უარყო ბრალდებები.

39. 2002 წლის გაზაფხულზე, ამერიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ალ-ქაიდას ტერორისტები იმალებოდნენ პანკისის ხეობაში. საქართველოს მთავრობა დათანხმდა, რომ 200 ამერიკელ ინსტრუქტორს ჩაეტარებინა ტრენინგი ქართული ანტიტერორისტული ერთეულებისთვის. ...

41. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პანკისის ხეობა წარმოადგენდეს აქტიურ ბაზას ჩეჩენი მეზრძოლებისთვის. თუმცა, შეუძლებელია განცხადება იმის შესახებ, რომ ჩეჩენი მეზრძოლები იქ არ იმყოფებოდნენ. ეჭვგარეშეა, რომ უკონტროლო სიტუაცია პანკისში წარმოადგენს უსაფრთხოების დაცვის მხრივ საფრთხეს როგორც საქართველოსთვის, ასევე

რუსეთისთვის. ორივე ქვეყანას გააჩნია თანამშრომლობის ინტერესი, რათა მოგვარდეს აღნიშნული სიტუაცია, ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების სრული გათვალისწინებით. მე მივესალმები საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მზაობას აღადგინოს წესრიგი პანკისის ხეობაში.

42. თუმცა სიტუაციას სერიოზულად ამძიმებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადება, რომელიც შეიცავს ცალმხრივად საბრძოლო მოქმედების გამოყენების საფრთხეს, გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად, ექვმიტანილი ტერორისტების წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე, მოსალოდნელია საქართველოს მხარის თანხმობა ერთობლივ ძალისხმევაზე მომდევნო დსთ-ს სამიტის დროს, 2002 წლის 7 ოქტომბერს. ამის პასუხად, საქართველოს პრეზიდენტმა მოიწვია 13 ოქტომბერს მონიტორინგის მისია პანკისის ხეობაში ეუთოს სახით, რომელიც რუსეთის მონაწილეობასაც გულისხმობს. ...“

2. ადამიანის უფლებათა კომისრის დამატებითი ანგარიში რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მოჰყვა მის ვიზიტს საქართველოში 1-დან 10 ივნისის ჩათვლით (ნაწყვეტი ადამიანის უფლებათა კომისიის მე-3 წლიური ანგარიშიდან (CommDH(2003)7)

25. ანგარიშის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

„1. ჩეჩენი ლტოლვილები

კომისრის პირველი ანგარიშის შემდეგ მრავალ და სამწუხარო მოვლენას ჰქონდა ადგილი ჩეჩენ ლტოლვილებთან მიმართებით საქართველოში...

2002 წლის სექტემბრისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებულმა ძალებმა ჩაატარეს რამდენიმე შემოწმება პანკისის ხეობაში. მსგავსი ოპერაციები აგრეთვე ჩატარდა თბილისში, 2002 წლის 7 დეკემბერს, როდესაც 100 ჩეჩენი დააკავეს და დაკითხეს. ცალკე ინციდენტის სახით, იმავე დღეს, სავარაუდოდ 5 ჩეჩენი მოკლეს. 2002 წლის 4 ოქტომბერს 5 ჩეჩენი მოქალაქის ექსტრადიციამ რუსეთში და ამის შემდგომ კიდევ 8 მოქალაქის ექსტრადიციამ, რაც მოჰყვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პროცესუალური გარანტიის მოპოვებას რუსეთის მხარისგან, გაზარდა დაუცველობის შეგრძნება საქართველოში მყოფ ჩეჩენ ლტოლვილებში.

ამ პერიოდის განმავლობაში ჩეჩნეთის რესპუბლიკაში სიტუაცია არის ისეთი, რომ საქართველოში მყოფ ჩეჩენ ლტოლვილებს არ შეუძლიათ თავისუფალი დაბრუნება და საქართველოს ხელისუფლებას აქვს აღებული ვალდებულება, რომ მან უზრუნველყოს ჟენევის კონვენციით განსაზღვრული ყველა სახის დაცვა ლტოლვილებისთვის. ვიდრე წესრიგის აღდგენა პანკისის ხეობაში რჩება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტად და რუსეთის პარტნიორებისთვის წარმოადგენს შემფოთების საგანს, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაატაროს საჭირო ზომები სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის დაცვით. ...“

3. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის („უმაღლესი კომისარი“), 2002 წლის გლობალური ანგარიში

26. უმაღლესი კომისარი 2002 წლის გლობალურ ანგარიშში საქართველოსთან მიმართებით აღნიშნავდა:

„ჩეჩენი ლტოლვილები და პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლები

აპრილში, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ განახორციელა რეგისტრაცია უმაღლესი კომისრის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით. რეგისტრირებული ლტოლვილების *prima facie* რაოდენობა შემცირდა 8.000-დან 4.000-მდე ძირითადად წინა ორმაგი და სამმაგი რეგისტრაციის გამო და ასევე ადგილობრივების რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომების გამო. ...

კონტექსტი

ლტოლვილთა ძირითადი დატვირთვის არსებობა პანკისის ხეობაში ადასტურებს იმას, რომ ეს პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხია. ამ წლის მანძილზე იყო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხშირი ინციდენტები, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლტოლვილთა დასახლებების მახლობლად არსებული ტერიტორიის დაბომბვა და სროლები ამოუცნობი ვერტმფრენის მიერ აგვისტოში. ... 2002 წლის აგვისტოში, საქართველოს სამართალდამცავი ერთეულები განლაგდნენ ხეობაში, მაგრამ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობა ისევ საშიში და რთულია ...“

4. Human Rights Watch „ტერორიზმთან ბრძოლის სახელით: ადამიანის უფლებათა დარღვევები მსოფლიოში“ (25 მარტი 2003)

27. ანგარიშის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

„საქართველო

საქართველოში ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე ანტიტერორისტული ღონისძიებები ძირითადად ფოკუსირებულია პანკისის ხეობაზე და მოიცავს ჩეჩენ მოსახლეობას. ამ ღონისძიებათა განხორციელების პროცესში მთავრობის მიერ დაფიქსირდა ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები, რომელსაც საქართველოს მთავრობა უარყოფს და არ აპირებს მათზე ყურადღების გამახვილებას. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიუთითა მთავრობის დამოკიდებულებაზე ადამიანის უფლებებთან მიმართებით ანტიტერორისტული კამპანიის ფარგლებში 2002 წლის 5 ოქტომბერს, ერთი დღის შემდეგ, რაც განხორციელდა 5 ჩეჩენი მოქალაქის ექსტრადიცია რუსეთში საჭირო სამართლებრივი პროცედურის დაცვის გარეშე, როცა მან განაცხადა: „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულება უნდა გახდეს ზღვარი ანტიტერორისტული კამპანიის პროცესში“...

Human Rights Watch-მა დოკუმენტური სახით წარმოადგინა „გაუჩინარებები“, სასამართლოს გარეშე დასჯის 1 შემთხვევა და დაკავებათა შემთხვევები მიმოწერისა და ნახვის უფლების ჩამორთმევით, რაც დამახასიათებელია საქართველოს უსაფრთხოების ძალებისთვის, რომლებიც ჩართულია ტერორიზმთან ბრძოლაში. ...

2002 წლის 7 დეკემბერს, თბილისში პასპორტების მასიური შემოწმების დროს, პოლიციამ მოკლე დროით დააკავა ჩეჩენი წარმოშობის 100 მოქალაქე. კონტექსტიდან გამომდინარე, ბევრი ამ ოპერაციას უკავშირებს ანტიტერორისტულ ძალისხმევას, თუმცა ოფიციალურად ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

სამართალი

I. კონვენციის მე-5 (§§ 1, 2 და 4) მუხლის სავარაუდო დარღვევა

28. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ 2002 წლის 7 დეკემბერს, 3 საათის მანძილზე მათი დაკავება პოლიციაში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, იყო შიდა კანონმდებლობისა და შესაბამისად, კონვენციის მე-5 (§1) მუხლის, დარღვევა. მათ შემდეგ წარადგინეს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავების მიზეზების შესახებ ინფორმაცია მათთვის არავის მიუწოდებია და მათ წართვეს შესაძლებლობა, სასამართლოში გაესაჩივრებინათ დაკავების კანონიერება. სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებული პრეტენზიები შედის კონვენციის მე-5 (§§ 1, 2 და 4) მუხლის განსაზღვრების ფარგლებში, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 5 §§ 1, 2 და 4

“1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

(a) კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირისა;

(b) კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის, ანდა კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

(c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.

(d) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

(e) პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მაწანწალის კანონიერი დაპატიმრება;

(f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გამკვების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (ექსტრადიცია).

2. დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება ...

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა.“

ა. მისაღებობა

29. მთავრობამ წარმოადგინა რამდენიმე საწინააღმდეგო არგუმენტი საჩივრის მისაღებობასთან დაკავშირებით.

1. მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვა

(ა) მხარეთა არგუმენტები

30. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებმა არ ამოწურეს მათთვის ხელმისაწვდომი ყველა შიდასამართლებრივი საშუალება. მისი ეს განცხადება ემყარებოდა ორ არგუმენტს: 1. მომჩივანთა სავარაუდო უკანონო დაკავების გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და საბოლოო გადაწყვეტილება არ იყო გამოტანილი შიდა დონეზე (იხ. §17). აქედან გამომდინარე, მომჩივანთა პრეტენზიები ნაადრევი იყო; 2. მთავრობის აზრით, მომჩივანთა პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მათი 2003 წლის 2 აპრილის საჩივარს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ არ მოჰყვა წერილობითი გადაწყვეტილება 20 დღის განმავლობაში, როგორც ამას მოითხოვს სსსკ-ის 265-ე (§4) მუხლი, მომჩივნების მხრიდან უნდა მოჰყოლოდა სარჩელის შეტანა უფრო მაღალ დონეზე - რაიონის პროკურორის წინააღმდეგ (სსსკ-ის 55-ე, 235-ე და 279-ე მუხლები).

31. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი. მათი აზრით, ის ფაქტი, რომ სამართალწარმოება დაიწყო სასამართლოს მიერ მოპასუხე მთავრობისთვის სარჩელის ცნობებისა და ინციდენტიდან თითქმის 3 წლის შემდეგ, წარმოადგენდა გამოძიების არაეფექტიანობის დადასტურებას. მთავრობამ ასევე არ წარმოადგინა საქმის მასალები, რომლებშიც მითითებული იქნებოდა გარკვეული საგამომიებო ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა სამართალწარმოების პროცესში. მომჩივნებმა ამასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ მათ მხოლოდ მთავრობის მიერ 2005 წლის 12 ოქტომბრის მოსაზრებების წარმოდგენის შემდეგ შეიტყვეს.

32. უფრო მაღალ დონეზე სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათი მხრიდან არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მომჩივნებმა ვერ მიიღეს წერილობითი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის დაწყების ან მასზე უარის თქმის შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია სსსკ-ის 265-ე მუხლით. შესაბამისად, მომჩივნებს წაერთვათ შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ რაიონის პროკურორის გადაწყვეტილება ნორმალური პროცედურის გზით. რაიონის პროკურორის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა იქნებოდა მორიგი ფორმალური და არაეფექტიანი საშუალება და დროში გააჭიანურებდა სამართალწარმოების პროცესს.

(ბ) სასამართლოს შეფასება

33. სასამართლო შენიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მხარეებმა იკამათეს იმის შესახებ, თუ როდის იქნა შეტანილი 1-ლი ოფიციალური საჩივარი პროკურატურაში. დავის საგანი იყო ასევე ის ფაქტი, რომ მთავრობამ ვერ იპოვნა მომჩივნების მიერ შეტანილი განცხადებები პროკურატურაში. სასამართლოს აზრით, არ არის ამ საკამათო საკითხების გადაჭრის საჭიროება შემდეგ მიზეზთა გამო: მთავრობას არასოდეს გაუპროტესტებია ის ფაქტი, რომ 2002 წლის 7 დეკემბრის ინციდენტზე არ იქნა ჩვეულებრივზე უფრო მეტი ყურადღება გამახვილებული, რაც გამოიწვევდა შესაბამის ორგანოთა დროულ რეაგირებას, რათა გადაემოწმებინათ ინფორმაცია და აღედრათ სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში (სსსკ-ის 24-ე (§4), 261-ე და 265-ე (§4) მუხლები). იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზიარებული იქნება მთავრობის ვერსია, პროკურატურამ შეიტყო მე-2 მომჩივნის პოლიციასთან დაკავშირებული პრეტენზიის შესახებ არაუგვიანეს 2003 წლის თებერვლიდან და 1-ლი მომჩივნის პრეტენზიის შესახებ - არაუგვიანეს 2003 წლის ნოემბრისა. სასამართლოსთვის ცხადი ხდება, რომ მომჩივნებმა შეიტანეს საჩივრები პოლიციის მოქმედებასთან დაკავშირებით შესაბამის შიდა სტრუქტურებში და შესაბამისად, პროკურატურის ორგანოები ვალდებულნი იყვნენ შიდა სამართლებრივი ნორმების დაცვით ჩაეტარებინათ წინასწარი გამოძიება და დაეწყოთ სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

34. მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით, რომელიც მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვას ეხება, სასამართლო მის პირველ ნაწილთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ინციდენტიდან 3 წელზე მეტი დრო დაჭირდა იმას, რომ 2005 წლის აგვისტოსა და ოქტომბერში, მხოლოდ სასამართლოს მიერ მოპასუხე მთავრობისთვის საჩივრის ცნობების შემდეგ დაეწყო პროკურატურას წინასწარი გამოძიება. მისი განვითარება ეჭვს იწვევს, ვინაიდან მთავრობამ ვერ წარმოადგინა საქმის მასალებიდან შესაბამისი დოკუმენტები (იხ. §17). სასამართლოს აზრით, გამოძიების დაგვიანებით დაწყება და მისი მსვლელობის გაჭიანურება შესაბამისი შიდა უწყებების მიერ, გამოძიებას ხდის სრულიად არაეფექტიანს. შესაბამისად, სასამართლო არ თვლის, რომ მომჩივნები უნდა დალოდებოდნენ გამოძიებას. მთავრობის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივნების პრეტენზიები ნაადრევი იყო, უარყოფილი უნდა იქნეს.

35. არგუმენტის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მომჩივნებს ზემდგომ პროკურორთან უნდა გაესაჩივრებინათ რაიონის პროკურორის უმოქმედობა, სასამართლო იმეორებს, რომ იერარქიული შიდასამართლებრივი საშუალება არ შეიძლება ეფექტიანად იქნეს მიჩნეული, ვინაიდან მხარეებს არა აქვთ მსგავს სამართალწარმოებაში მონაწილეობის შესაძლებლობა (იხ. გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ no. 37048/04, §112, 13 იანვარი 2009). როდესაც კომპეტენტური ორგანოები რჩებიან პასიურნი მთავრობის წარმომადგენლების მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების შესახებ მომჩივნების ბრალდებებთან მიმართებით, მომჩივნები

სამართლიანად აღიქვამენ უსარგებლოდ იმავე ორგანოების მიერ შემდგომში გაკეთებულ ნებისმიერ მოთხოვნას (იხ. *გიორგი ნიკოლაიშვილი*). სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, მომჩივნებს არ მიუღიათ ოფიციალური გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოთხოვნილი სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყო. შესაბამისად, მომჩივნები არ შეიძლება იქნენ გაკრიტიკებულნი გადაწყვეტილების არგასაჩივრების გამო (იხ. *a contrario*, *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia* (dec), no. 1704/06, 26 June 2007, and *Chitayev and Chitayev v. Russia*, no. 59334/00, §§ 139 and 140, 18 January 2007).

36. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნებმა გააკეთეს ყველაფერი, რაც მათი მხრიდან იყო საჭირო მათი უფლებების დასაცავად (იხ. *Ramishvili and Kokhreidze* (განჩ.), ხსენებული ზემოთ). შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის პროტესტს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვასთან დაკავშირებით.

2. ექვსთვიანი ვადის დაცვა კონვენციის მუხლის 35-ე (§1) მუხლის თანახმად

(ა) მხარეთა არგუმენტები

37. მთავრობამ განაცხადა, რომ საჩივარი შეტანილი იქნა კონვენციით დადგენილი 6-თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან მომჩივანთა მთავარი არგუმენტი იყო პროკურატურის ორგანოების მხრიდან 2003 წლის 2 აპრილის საჩივრის იგნორირება, რაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ეხებოდა და შესაბამისად, არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება 20 დღის განმავლობაში, რითაც დაირღვა სსსკ-ის 265-ე (§4) მუხლი, 2003 წლის 22 აპრილი უნდა ყოფილიყო 6-თვიანი ვადის ათვლის დასაწყისი. მთავრობამ შემდგომში განაცხადა, რომ 2003 წლის 19 ნოემბრისა და 2004 წლის 16 იანვრის წერილების შინაარსის მიხედვით, მომჩივნები უფრო ადრე უნდა მიმხვდარიყვნენ რომ შიდა დონეზე მათი ძალისხმევა უსარგებლო იქნებოდა და არ უნდა დაეცადათ შემდეგი, 2004 წლის 10 მარტის წერილისთვის სასამართლოსთვის მიმართვამდე.

38. მომჩივნები არ დაეთანხმნენ, აღნიშნეს რა, რომ მთავრობის პოზიცია 6-თვიანი ვადის ათვლის თარიღთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი იყო. მომჩივანთა განცხადებით, ერთი მხრივ, მთავრობამ მიუთითა, რომ მათი საჩივარი იყო ნაადრევი, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის წარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, ის ამტკიცებდა, რომ 6-თვიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2004 წლის 22 აპრილს. უფრო მეტიც, მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მთავრობის არგუმენტის საპირისპიროდ, მათ გააგრძელეს დაკავების განხილვისთვის ბრძოლა, მაგრამ შესაბამისმა ორგანოებმა მათი პრეტენზიების განხილვაზე უარი განაცხადეს. პროკურატურიდან მიღებული ბოლო წერილი დათარიღებულია 2004

წლის 10 მარტით, რომელიც, მომჩივანთა აზრით, უნდა იქნეს მიჩნეული 6-თვიანი ვადის ათვლის დაწყების თარიღად.

(ბ) სასამართლოს შეფასება

39. სასამართლო იმეორებს, რომ 6-თვიანი ვადა აითვლება მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის პროცესში საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან. შესაბამისად კონვენციის 35-ე (§1) მუხლი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ ის თითქოსდა მომჩივნისგან მოითხოვს სასამართლოში საჩივრის შეტანას ეროვნულ დონეზე მისი საქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. შესაბამისად, როდესაც მომჩივანი იყენებს ერთი შეხედვით ხელმისაწვდომ მიმართვის შიდასამართლებრივ საშუალებას და მხოლოდ შემდეგ იგებს იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც აღნიშნული საშუალება არაეფექტიანი გახადა, 35-ე (§1) მუხლის მიზნებისთვის სასურველი იქნება, რომ 6-თვიანი ვადის ათვლა მოხდეს იმ თარიღიდან როდესაც მომჩივანმა შეიტყო ან უნდა შეეტყო აღნიშნული გარემოებების შესახებ (იხ. Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom (dec.), no. 46477/99, 7 June 2001).

40. უბრუნდება რა მოცემულ საქმეს, სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივნებმა და მათმა ადვოკატებმა შეიტანეს რამდენიმე საჩივარი პროკურატურაში 2002 წლის 7 დეკემბერს განხორციელებულ პოლიციის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, თუმცა მათ ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია. დროის გასვლასთან ერთად, რასაკვირველია, მომჩივნები უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ პროკურატურის მხრიდან არ იყო მზაობა გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, შედარებით მოკლე პერიოდი არ არის საკმარისი სასამართლოსთვის, დაასკვნას, რომ მომჩივნები უკვე უნდა მიმხვდარიყვნენ გამოყენებული ზომების არაეფექტიანობას 6 თვეზე მეტი ხნით ადრე საჩივრის შეტანამდე, 2004 წლის 26 აგვისტოს (იხ. Stanimirović v. Serbia, no. 26088/06, §33, 18 October 2011). სასამართლო აგრეთვე შენიშნავს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა რაიმე დამაჯერებელი არგუმენტი იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა მიაქციოს მან ყურადღება პროკურატურის 2004 წლის 10 მარტის წერილს. 2003 წლის 19 ნოემბრისა და 2004 წლის 16 იანვრის წერილები ამ თვალსაზრისით არ იყო ოფიციალური გადაწყვეტილებები, რომლებიც უთუოდ გამორიცხავდა მოთხოვნილი სისხლის სამართლის საქმის მომავალში აღძვრას.

41. შესაბამისად, მომჩივანთა პრეტენზიები არ არის წარდგენილი ვადის დარღვევით, კონვენციის 35-ე (§1) მუხლის განმარტებიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე, მთავრობის ეს არგუმენტი ასევე უარყოფილი უნდა იქნეს.

3. სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენება

42. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებმა განზრახ წარუდგინეს არასწორი ინფორმაცია სასამართლოს და შესაბამისად, ბოროტად გამოიყენეს საჩივრის შეტანის უფლება. მომჩივნები არ დაეთანხმნენ.

43. სასამართლო იმეორებს, რომ გამონაკლისი განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, საჩივარი შეიძლება არ იქნეს მიღებული და ჩაითვალოს მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად, თუ ის შეგნებულად ემყარება მცდარ ინფორმაციას (იხ. Keretchashvili v. Georgia (dec.), no. 5667/02, 2 May 2006, and Pirtskhalaishvili v. Georgia (dec.), no. 44328/05, 29 April 2010).

44. მოცემულ საქმეში მომჩივანთა მიერ გაკეთებული განცხადებების გათვალისწინებით, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ეს არის საჩივრის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენება. შესაბამისად, მთავრობის ეს პროტესტი არ მიიღება.

45. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-5 (წმ 1, 2 და 4) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე (წმ „ა“) მუხლის განმარტებიდან გამომდინარე და არ არის მიუღებელი რაიმე სხვა მიზეზების გამო. შესაბამისად, ისინი მისაღებად უნდა იქნეს ცნობილი.

ბ. არსებითი მხარე

1. კონვენციის მე-5 (წმ 1) მუხლის სავარაუდო დარღვევა

(ა) მხარეთა არგუმენტები

46. მთავრობამ მიუთითა უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ იმ რთულ მდგომარეობაზე, რომელსაც იმ დროისთვის არსებობდა საქართველოში. 1999 წლის ბოლოს ჩეჩენი ლტოლვილების საქართველოში მასობრივი შემოსვლის შემდეგ, საქართველო დაადანაშაულეს ჩეჩენი მებრძოლებისთვის თავშესაფრის მიცემაში. მთავრობა ცდილობდა უსაფრთხოების ზომების გატარებას *პანკისის* ხეობაში, სადაც ყველაზე მეტი ჩეჩენი ლტოლვილია თავმოყრილი (იხ. წმ 24-26), მან ასევე დაიწყო ქვეყნის მასშტაბით უცხოელთა რეგისტრაციის პროცედურა (იხ. წმ 26). შსს, რომელიც ჩართული იყო რეგისტრაციის პროცესში, აწარმოებდა უცხო პირთა შემოწმებას და მათი სამართლებრივი სტატუსის დადგენას საქართველოში.

47. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანთა ვინაობის შემოწმება 2002 წლის 7 დეკემბერს ჩატარდა სწორედ ზემოხსენებული პროცესის ფარგლებში. შემდგომში მთავრობამ აღნიშნა, რომ დრო, რომლის განმავლობაშიც მომჩივნები იმყოფებოდნენ პოლიციაში, არ აღემატებოდა 30 წუთს. არავითარი საგამოძიებო ღონისძიება არ ჩატარებულა დროის ამ მონაკვეთში. აქედან

გამომდინარე, მათი „დაკავება“ იყო იმდენად დროებითი, რომ ის არ წარმოადგენდა „თავისუფლების აღკვეთას“. უფრო მეტიც, მომჩივნებს სთხოვეს წაყოლა პოლიციაში იდენტიფიკაციის მიზნით. მათ იქ დაჰყვეს მხოლოდ ის დრო, რაც საჭირო იყო მათი ვინაობის დადგენისთვის, პოლიციის შესახებ კანონის მე-8 მუხლისა (იხ. §19) და პრეზიდენტის №643 ბრძანებულების მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად (იხ. §20). შესაბამისად, მათი „დაკავება“ იყო კანონიერი და დასაბუთებული ზემოხსენებული დებულებებით.

48. მომჩივნები არ დაეთანხმნენ მთავრობას და აღნიშნეს, რომ მათი მიყვანა პოლიციაში მოხდა იძულების წესით და ეს იყო თავისუფლების აღკვეთა მათი ნების საწინააღმდეგოდ. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ისინი პოლიციაში დაკავებულები იყვნენ 3 საათის განმავლობაში. მათი დოკუმენტები წაიღო პოლიციამ და მათ მიმართ რამდენიმე საგამოძიებო ღონისძიება გატარდა, რაც ნათლად ადასტურებდა, რომ მათ არ შეეძლოთ პოლიციის თავისუფლად დატოვება. მოვლენათა განვითარების გათვალისწინებით, მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთას კონვენციის მე-5 (§1) მუხლის გაგებით.

49. მომჩივნები არ დაეთანხმნენ მთავრობის არგუმენტს მათი დაკავების კანონიერების შესახებ. მათ გაიმეორეს, რომ მათი დაკავება იყო თვითნებური და უკანონო, ვინაიდან არ ჰქონდა არავითარი საფუძველი შიდა კანონმდებლობის მიხედვით და არ შედიოდა კონვენციის მე-5 (§1, a-f) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებში.

(ბ) სასამართლოს შეფასება

ი. ზოგადი პრინციპები

50. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლი მოიცავს ფუნდამენტურ უფლებას, კერძოდ სახელმწიფოს მხრიდან პირის დაცვას თვითნებური ჩარევისგან მისი თავისუფლების აღკვეთის გზით. „თავისუფლების უფლების“ დეკლარირებისას, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი მოიცავს პირის ფიზიკურ თავისუფლებას; მისი მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ არცერთ პირს არ აღეკვეთოს თავისუფლება თვითნებურად. ეს არ უკავშირდება უბრალო შეზღუდვებს გადაადგილების თავისუფლებაზე, მსგავსი შეზღუდვები რეგულირდება მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით. იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი თავისუფლების აღკვეთას, საწყისი წერტილი უნდა იყოს პირის კონკრეტული სიტუაცია და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ საქმის დროს წარმოშობილი მთელი რიგი ფაქტორები, როგორებიცაა, სადავო ღონისძიების განხორციელების ტიპი, ხანგრძლივობა, შედეგი და მეთოდი. თავისუფლების აღკვეთასა და თავისუფლების შეზღუდვას შორის განსხვავება მდგომარეობს ხარისხში ან ინტენსივობაში და არა მის ხასიათში ან არსში (იხ. *Guzzardi v. Italy*, 6 November 1980, Series A no. 39, §92, and *H.L. v. the United Kingdom*, no. 45508/99, §89, ECHR 2004-IX; see

also *Austin and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 39692/09, 40713/09 and 41008/09, §§ 52-60, ECHR 2012). კონვენციის მე-5 მუხლი შეიძლება გამოყენებული იქნეს მოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებშიც (იხ. *Gillan and Quinton v. the United Kingdom*, no. 4158/05, §57, ECHR 2010 ... (extracts), როდესაც მომჩივნები გააჩერეს ჩრეკის მიზნით, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წუთს (იხ. *Iliya Stefanov v. Bulgaria*, no. 65755/01, §71, 22 May 2008, and *Foka v. Turkey*, no. 28940/95, §75, 24 June 2008).

51. სასამართლო მიუთითებს, რომ მე-5 (§1) მუხლის a-f ქვეპუნქტები შეიცავს დასაშვები საფუძვლების სრულ სიას, რომლებითაც პირებს შეიძლება აღეკვეთოთ თავისუფლება და თავისუფლების აღკვეთა იქნება კანონიერი, ვიდრე ის ამ საფუძვლების განმარტებაში შედის (იხ. *Austin and Others*, ხსენებული ზემოთ, §60). როცა დაკავების „კანონიერება“ სადავო ხდება, „კანონით დადგენილი წესის“ დაცვის მხრივაც, კონვენცია ყურადღებას ამახვილებს ეროვნულ კანონმდებლობაზე და ეყრდნობა ვალდებულებას, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის მატერიალური და პროცესუალური ნორმების დაცვას გულისხმობს. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის დაცვა არ არის საკმარისი: მე-5 (§1) მუხლი მოითხოვს, რომ თავისუფლების ნებისმიერი სახის აღკვეთა შესაბამისობაში იყოს იმ პრინციპთან, რომელიც გულისხმობს პირის დაცვას თვითნებობისგან. ეს არის ფუნდამენტური პრინციპი, რომ არცერთი დაკავება, რომელიც თვითნებურია, არ არის შეთავსებადი მე-5 (§1) მუხლთან და „თვითნებობის არსი“, მე-5 (§1) მუხლის მიხედვით, სცილდება ეროვნულ კანონმდებლობასთან შეუსაბამისობას. ამგვარად, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს კანონიერი შიდა კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ თვითნებური და კონვენციასთან შეუსაბამო (იხ. *Guzzardi*, ხსენებული ზემოთ, §92, and *A. and Others v. the United Kingdom* [GC], no. 3455/05, §§ 162-164, 19 February 2009).

ii. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის გარემოებებთან მიმართებით

52. სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეთა დავის საგანია პოლიციაში გატარებული დროის ხანგრძლივობა, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ იქ დაჰყვეს 3 საათი, მთავრობამ კი მიუთითა 30 წუთი. პოლიციაში მომჩივნების გაჩერების დროის ხანგრძლივობის დასადგენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ოფიციალური დოკუმენტის არარსებობის პირობებში, რაც მთავრობის არგუმენტს გაამყარებდა, უპირატესობა ენიჭება მომჩივან მხარეს, ვინაიდან მთავრობის ვალდებულებაა წარმოადგინოს დეტალური საათობრივი ანგარიში, რომელიც გაამყარებული იქნება დამაჯერებელი მტკიცებულებით (იხ. *Creangă v. Romania* [GC], no. 29226/03, §§ 89-90, 23 February 2012; see also *Salayev v. Azerbaijan*, no. 40900/05, §39, 9 November 2010; *Farhad Aliyev v. Azerbaijan*, no. 37138/06, §157, 9 November 2010; and *Boris Popov v. Russia*, no. 23284/04, §61, 28 October 2010).

53. სასამართლო მიუთითებს, რომ მომჩივანთა ვერსია მათი დაკავების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა,

დადასტურებულია სხვა ჩეჩენი ლტოლვილების მიერ, რომლებიც წაიყვანეს იმავე პოლიციის სამმართველოში და აგრეთვე მომჩივანთა მუდმივი პრეტენზიებით შიდა სამართალწარმოების პროცესში. ამონარიდები შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშებიდან აგრეთვე მიუთითებს 2002 წლის 7 დეკემბერს 100 ჩეჩენი მოქალაქის დაკავებასა და დაკითხვაზე (იხ. §§ 25 და 27). მთავრობამ ვერ წარმოადგინა მომჩივანთა დაკავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები ან რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად, სასამართლოსთვის მისაღებია ის, რომ მომჩივნები იმყოფებოდნენ პოლიციაში 3 საათის მანძილზე.

54. სასამართლომ უნდა დაადგინოს „აღკვეთათ თუ არა თავისუფლება“ მომჩივნებს დროის ამ მონაკვეთში. სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ფაქტობრივი სიტუაციის დახასიათება ან სრული სახით მისი ვერაღწერა აშკარა გავლენას ვერ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით (იხ. Creangă, ხსენებული ზემოთ, §92).

55. სასამართლო მიუთითებს, რომ მის ხელთ არსებული მწირი ინფორმაციისა და ოფიციალური ჩანაწერების ნაკლებობის გამო, შეუძლებელია დეტალურად გაირკვეს მომჩივანთა დაკავების ირგვლივ არსებული გარემოებები. მიუხედავად ამისა, სასამართლოსთვის ეჭვგარეშეა, რომ მომჩივნებს ჩამოართვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და წაიყვანეს პოლიციაში, სადაც დაკითხეს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათ არ დაადეს ხელბორკილები, არ მოათავსეს ჩაკეტილ კამერაში ან სხვაგვარად არ შეზღუდეს დაკითხვის დროს, არარეალური იქნებოდა იმის მიჩნევა, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ პოლიციის შენობის დატოვება (იხ. Shimovolos v. Russia, no. 30194/09, §50, 21 June 2011, and Osypenko v. Ukraine, no. 4634/04, §49, 9 November 2010). აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში იძულების ელემენტის არსებობის გათვალისწინებით (იხ. Rantsev v. Cyprus and Russia, no. 25965/04, §§ 317 -318, ECHR-2010 (extracts)) და დაკითხვის შედარებით მოკლე პერიოდის მიუხედავად (იხ. Gillan and Quinton, ხსენებული ზემოთ, §57, and Shimovolos, ხსენებული ზემოთ, §§ 48-50), მომჩივნების მიმართ ადგილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთის ფაქტს კონვენციის მე-5 (§1) მუხლის გაგებით.

56. ახლა კი სასამართლო გაარკვევს, იყო თუ არა მომჩივანთა დაკავება თვითნებური. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ ამ თვალსაზრისით, მე-5 (§1) მუხლით დაცული თავისუფლების აღკვეთის გამონაკლისების ჩამონათვალი არის ამომწურავი და მხოლოდ მათი ვიწრო განმარტება შეესაბამება ამ დებულების მიზნებს, კერძოდ იმის უზრუნველყოფა, რომ არავის არ უნდა აღკვეთოს თავისუფლება თვითნებურად (იხ. §51).

57. მოცემულ საქმეში, საქართველოს მთავრობამ მოიყვანა „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი და პრეზიდენტის №634 ბრძანებულების მე-3 და მე-5 პუნქტები, როგორც პოლიციაში მომჩივანთა მიყვანისა და მათი შემდგომი დაკავების საფუძველი. სასამართლოსთვის არ არის მისაღები მთავრობის არგუმენტის ნამდვილობა, რომელსაც მისი აზრით, ორმაგი ნაკლოვანება გააჩნია. პირველ რიგში, არცერთი ეს ორი სამართლებრივი აქტი არ წარმოშობს დაკავების იურიდიულ

საფუძველს მომჩივანთა მსგავს შემთხვევაში (იხ. *a contrario*, Foka, ხსენებული ზემოთ, §§ 85-86; შეად. §§ 21-23 ზემოთ). მეორე მხრივ, მთავრობა არ კამათობდა იმის შესახებ, რომ მომჩივნებმა დაიცვეს მათი კანონიერი ვალდებულება და წარმოადგინეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები პოლიციელის მოთხოვნისას, როდესაც ისინი ჯერ კიდევ თავიანთ ბინაში იმყოფებოდნენ (იხ. *a contrario*, Foka, ხსენებული ზემოთ, §§ 85-86; შეად. §§ 21-23 ზემოთ) და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ორივე მომჩივანმა წარმოადგინა კანონიერი ლტოლვილთა ბარათები, მთავრობამ ვერ მოიყვანა პოლიციაში მათი წაყვანის აუცილებლობის წარმოქმნასთან დაკავშირებული არგუმენტები.

58. შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ მომჩივნებმა არ დაიცვეს სასამართლოს კანონიერი ბრძანება ან არ შეასრულეს კანონით განსაზღვრული ვალდებულება და აქედან გამომდინარე, მათთვის თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება შედიოდეს მე-5 (§1) მუხლის (b) ქვეპუნქტში. სასამართლო მიიჩნევს, რომ ვერ დასახელდა ვერც ერთი მიზეზი, რომელიც მომჩივანთა დაკავებას მე-5 (§1) მუხლის რომელიმე ქვე-კატეგორიაში მოაქცევდა.

59. უფრო მეტიც, მომჩივანთა თავისუფლების აღკვეთა საერთოდ არ იყო დოკუმენტით დაფიქსირებული. სასამართლო შენიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთის რეალური ხანგრძლივობის მიუხედავად, პირის დაკავება, რომელიც არ არის ოქმით დაფიქსირებული, წარმოადგენს კონვენციის მე-5 (§1) მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი გარანტიების სრულ უგულვებელყოფას და მიუთითებს ამ დებულების სერიოზულ დარღვევაზე (იხ. *Kurt v. Turkey*, 25 May 1998, §125, Reports 1998-III).

60. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მთავრობის არგუმენტზე, რომელიც საქართველოში იმ დროისთვის უსაფრთხოების მხრივ არსებულ სიტუაციას ეხება და აღნიშნავს, რომ შესაბამის ორგანოებს ნამდვილად უნდა განეხორციელებინათ კონტროლის უფრო მკაცრი ზომები საქართველოს ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლასა და ცხოვრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გულისხმობს პირთა ვინაობისა და სამართლებრივი სტატუსის დადგენას. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, მე-5 (§1) მუხლი არ იძლევა პირის თავისუფლების უფლებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეს შორის ბალანსის შერყევის საშუალებას. მთავრობის არგუმენტი არ არის შეთავსებადი იმ პრინციპთან, რომ მე-5 (§1) მუხლის a-f ქვეპუნქტები შეიცავს გამონაკლისთა სრულ სიას და მხოლოდ ამ გამონაკლისების ვიწრო ინტერპრეტაცია შეესაბამება მე-5 მუხლის განმარტებას. თუ დაკავება არ შეესაბამება სასამართლოს მიერ განმარტებულ პუნქტებს, ის არ შეიძლება გამართლებული იქნეს სახელმწიფოსა და დაკავებულის ინტერესებს შორის ბალანსის დაცვისკენ მოწოდებით (იხ. *A. and Others*, ხსენებული ზემოთ, §171, and *Al Husin v. Bosnia and Herzegovina*, no. 3727/08, §§ 64-65, 7 February 2012; see also *Schwabe and M.G. v Germany*, nos. 8080/08 and 8577/08, §85, ECHR 2011 (extracts)).

61. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ, მომჩივანთა დოკუმენტებით დაუფიქსირებელ დაკავებას არ გააჩნდა ლეგიტიმური მიზანი მე-5 (§1) მუხლის

თანახმად და შესაბამისად, იყო უკანონო და თვითნებური. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§1) მუხლის დარღვევას.

2. კონვენციის მე-5 (§2) მუხლის სავარაუდო დარღვევა

(ა) მხარეთა არგუმენტები

62. მთავრობამ კვლავ განაცხადა, რომ მომჩივანთა მიმართ ადგილი არ ჰქონია თავისუფლების აღკვეთას კონვენციის მე-5 (§1) მუხლის გაგებით, შესაბამისად, არ არსებობდა ვალდებულება პოლიციელების მხრიდან, რომ მათ მიეწოდებინათ ინფორმაცია მომჩივანთათვის დაკავების მიზეზების შესახებ.

63. მომჩივნები არ დაეთანხმნენ ამ არგუმენტს.

(ბ) სასამართლოს შეფასება

64. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 (§2) მუხლი შეიცავს ელემენტარულ გარანტიას, რომ ნებისმიერმა დაკავებულმა პირმა უნდა იცოდეს, თუ რატომ აღეკვეთა მას თავისუფლება. ამ დებულების თანახმად, ნებისმიერ დაკავებულ პირს უნდა განუმარტონ, მისთვის გასაგებ და არატექნიკურ ენაზე, მისი დაკავების ძირითადი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, რათა მას გააჩნდეს შესაძლებლობა, მიმართოს სასამართლოს დაკავების კანონიერების გასაჩივრების მიზნით (იხ. Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, 30 August 1990, §40, Series A no. 182; see also Shamayev and Others v. Georgia and Russia, no. 36378/02, § 413, ECHR 2005 III).

65. მოცემულ საქმეში, სასამართლომ დაადგინა, მომჩივანთა საჩივრის განხილვის კონტექსტში, კონვენციის მე-5 (§1) მუხლის საფუძველზე, რომ მომჩივანთა მდგომარეობა წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას. ის ფაქტი, რომ მომჩივნებს არ გადასცეს მათი დაკავების მიზეზების შესახებ არანაირი დოკუმენტი დაკავებისას ან განთავისუფლების შემდეგ, ამყარებს მათ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ ისინი იყვნენ სრულ გაურკვევლობაში, თუ რატომ აღეკვეთათ თავისუფლება 2002 წლის 7 დეკემბერს. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ მომჩივანთა განცხადებით, ისინი დაექვემდებარნენ გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებებს პოლიციაში ყოფნის დროს. ამონარიდები საერთაშორისო ანგარიშებიდან ადასტურებს მომჩივანთა ბრალდებებს, ვინაიდან ისინი, სულ მცირე, მიუთითებენ დაკითხვასთან დაკავშირებულ შემფოთებაზე (იხ. § 25). მოცემული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით (იხ. §§ 25-27, Shamayev and Others, ხსენებული ზემოთ), სასამართლო მიიჩნევს, რომ დაკითხვა მომჩივნებს

ჩაადგება კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობაში დაკავების მიზეზებთან მიმართებით (იხ. *a contrario*, Foka, ხსენებული ზემოთ, §88).

66. შესაბამისად, მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§2) მუხლის დარღვევას.

3. კონვენციის მე-5 (§4) მუხლის სავარაუდო დარღვევა

(ა) მხარეთა არგუმენტები

67. მთავრობამ კვლავ გაიმეორა არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის მე-5 მუხლი მთლიანობაში, მისი მე-4 პუნქტის ჩათვლით, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მომჩივანთა საქმეში. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებს ხელთ ჰქონდათ გასაჩივრების ეფექტიანი პროცედურები, მაგრამ მათ არ გამოიყენეს შიდასამართლებრივი დაცვის ეს საშუალებები.

68. მომჩივნები არ დაეთანხმნენ, განაცხადეს რა, რომ არ შეეძლოთ დაკავების კანონიერების გასაჩივრება. მომჩივნებს არ მიუღიათ პროკურატურის წერილობითი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ. შედეგად, მომჩივნებმა წარადგინეს პრეტენზია იმის შესახებ, რომ მათ წაერთვათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ მათთვის ხელმისაწვდომი გასაჩივრების იერარქიული და სამართლებრივი საშუალებები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) სასამართლოს შეფასება

69. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ კონვენციის მე-5 (§4) მუხლი მოიცავს შიდასამართლებრივი დაცვის მხოლოდ იმ საშუალებებს, რომლებიც ხელმისაწვდომი ხდება პირის დაკავებისას იმის გათვალისწინებით, რომ პირს გააჩნია დაკავების კანონიერების სწრაფი სასამართლო განხილვის საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, მისი განთავისუფლების მიზნით. ეს დებულება არ მოიცავს შიდასამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებს, რომლებიც განიხილავს უკვე დასრულებული დაკავების პერიოდის კანონიერებას, განსაკუთრებით, მოკლევადიანი დაკავების შემთხვევაში (იხ. *Slivenko v. Latvia [GC]*, no. 48321/99, §158, ECHR, 2003-X).

70. შესაბამისად, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ, განიხილოს მომჩივანთა პრეტენზიის არსებითი მხარე კონვენციის მე-5 (§4) მუხლის თანახმად.

II. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

71. მომჩივნებმა წარმოადგინეს კონვენციის მე-6 (§1) და 13 მუხლების დარღვევის შესახებ პრეტენზია, რაც გულისხმობს პროკურატურის მიერ სავარაუდო უკანონო დაკავებასთან დაკავშირებულ გარემოებათა წინასწარი გამოძიების არდაწყებას და შესაბამისად სასამართლო პროცესის ვერუზრუნველყოფას.

72. სასამართლო შენიშნავს, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლი არ იძლევა მესამე მხარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების უფლების გარანტიას (იხ. სხვებს შორის, *Members (97) of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia* (dec.), no. 71156/01, 6 July 2004, and *Saghinadze and Others v. Georgia*, no. 18768/05, §89, 27 May 2010). სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრეტენზია *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციის დებულებებთან 35-ე (§3) მუხლის განმარტებიდან გამომდინარე და არ უნდა იქნეს მიღებული 35-ე (§4) მუხლის თანახმად. ბოლო პრეტენზიასთან მიმართებით, სასამართლო, მის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით, შენიშნავს, რომ არ არსებობს კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის ცალკე განხილვის საჭიროება.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

73. კონვენციის 41-ე მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

74. მომჩივნებმა გამოხატეს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მათ განიცადეს ზეწოლა და თავი იგრძნეს დაშინებულად პოლიციის მოქმედების გამო და მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, ადეკვატური იქნებოდა მათთვის 10 000 ევროს მიკუთვნება სასამართლოს მიერ.

75. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანთა პრეტენზიები იყო აშკარად დაუსაბუთებელი, პირადობის შემოწმების პროცედურის მოკლე ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მომჩივნები ვერ მიიღებდნენ რაიმე ფსიქოლოგიურ ზიანს.

76. სასამართლო მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით თითოეული მომჩივნისთვის 500 ევროს მიკუთვნება წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

ბ. ხარჯები და დანახარჯები

77. მომჩივნებმა ასევე მოითხოვეს 100 ევრო თარგმნის ხარჯების ანაზღაურების სახით. ამის გასამყარებლად, მათ წარმოადგინეს თარჯიმანთან დადებული კონტრაქტი.

78. მთავრობამ არ გააკეთა კომენტარი აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

79. წარმოდგენილი დოკუმენტისა და პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო მომჩივნებს მიაკუთვნებს 100 ევროს თარგმნის ხარჯების ანაზღაურების სახით.

გ. საურავი

სასამართლოს მიაჩნია, საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება 3 პროცენტი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად

1. ცნობს მისაღებად კონვენციის მე-5 (§§ 1, 2 და 4) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს და საჩივრის დანარჩენ ნაწილს - მიუღებლად;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§1) მუხლის დარღვევას;

3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§2) მუხლის დარღვევას;

4. ადგენს, რომ არ არსებობს კონვენციის მე-5 (§4) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის განხილვის საჭიროება;

5. ადგენს, რომ

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, თითოეულ მომჩივანს უნდა გადაუხადოს 500 (ხუთასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და ორივე მომჩივანს ერთობლივად - 100 (ასი) ევრო ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

6. *უარყოფს* მომჩივანთა დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2012 წლის 18 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლების შესაბამისად.

სანტიაგო კესადა
სექციის განმწესრიგებელი

ჯოზეპ კასადევალი
თავმჯდომარე